ნომერი: 10/01191651805-01
თარიღი: 14.06.2019 14:12
ვადა: 14.07.2019

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი საიდენტიფიკაციო კოდი : 204923262
მისამართი: მარიჯანის ქ 2 ბ
საკონტაქტო ინფორმაცია: 2913119; 2913242; 913119; 485521; 593317674;
განცხადების N: 52 განცხადების თარიღი: 14.06.2019
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

ფელდეგერი: სამველ მკრტიჩიანი პირადი ნომერი: 01002013211

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

საკითხის შესწავლის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 10
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: საფოსტო მომსახურებით სარგებლობა

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 10/01191651805-01
14.06.2019 : 14:12

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

თბილისი, 0162. ვაკე, თ. აბულაძის ქ. N7 | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242;dtmc.ltd@yahoo.com / 9:00-18:00/
7 T. Abuladze str. TBILISI 0162. GEORGIA | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242; dtmc.ltd@yahoo.com ; /9:00-18:00/

№52 14.06.2018

ქ. თბილისის მერს
ბ-ნ. კახა კალაძეს

ბატონო კახა,

განმეორებით მოგმართავთ შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“-ს პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან სამწუხაროდ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პირველი წერილიდან (# 123/01-08 22.05.2019) თითქმის 1 თვე გავიდა, აღნიშნული პრობლემატური საკითხის გადაწყვეტა მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან დღემდე არ მომხდარა.

სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ მიერ, 2017-2018 წლებში, შპს “დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში“ განხორციელებული შემოწმებებით გამოვლენილი დარღვევების გამო, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^5-1, 36^1-1, 36^1-2 მუხლებით და განესაზღვრა გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად.

დღეის მდგომარეობით, კვლავ ფიქსირდება „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 17.12. 2010წ. #385 დადგენილების დანართი 2^1-ს („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) საერთო სანებართვო პირობების პუნქტი 28-ს დარღვევა - **დაწესებულებას არ გააჩნია საევაკუაციო გასასვლელი.** ამავე დადგენილების მუხლი 3-ის („პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევაზე“) პ. 3. თანახმად, „ნებართვის მფლობელის მიერ საერთო სანებართვო პირობ(ებ)ის დაუკმაყოფილებლობისას უქმდება სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და შესაბამისი სანებართვო დანართ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში)“.

ამავდროულად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 34. „პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება“, პ.პ.12,13): თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სანებართვო პირობების შესრულება.

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

თბილისი, 0162. ვაკე, თ. აბულაძის ქ. N7 | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242;dtmc.ltd@yahoo.com / 9:00-18:00/
7 T. Abuladze str. TBILISI 0162. GEORGIA | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242; dtmc.ltd@yahoo.com ; /9:00-18:00/

თუ ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნება უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად მიიღოს გადაწყვეტილება სანებართვო პირობების შესრულების თვითონ ან მესამე პირთა მეშვეობით, ნებართვის მფლობელის სახელითა და ხარჯით უზრუნველყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის #02-219/ო 07.06.2019.წ. ბრძანებით, ნებართვის მფლობელის სახელითა და ხარჯით სანებართვო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შპს "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში", 07.06.19-07.08.2019.წ. პერიოდში, დაინიშნა სტაციონარული საქმიანობის ნებართვის გამცემის წარმომადგენელი.

სანებართვო პირობების დარღვევის გამოუსწორების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდგომ ნაბიჯს, წარმოადგენს სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაუქმება.

სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაუქმება ავტომატურად გამოიწვევს შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის" ქირურგიული, ბავშვთა ქირურგიული და პედიატრიული განყოფილებების საქმიანობის შეწყვეტას და 100-ზე მეტი დასაქმებული თანამშრომლის, მათ შორის, 55 ექიმის უმუშევრობას, რომ არაფერი ვთქვათ იმ გარემოებაზე, რომ 2 რაიონის (საბურთალოს, ვაკის) მოსახლეობისათვის პედიატრიული პროფილის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღება უახლოეს წერტილში (საბურთალოზე) აღარ იქნება შესაძლებელი და ეს ორი რაიონი დარჩება კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გარეშე. შესაბამისად ამ ორი რაიონის მოსახლეობისათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ალტერნატივა რჩება მხოლოდ დიღმის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო კლასტერი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დროული სამედიცინო დახმარების მიღების პროცესს და ნეგატიურად აისახება სამედიცინო დახმარების ხარისხის ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა მისი ხელმისაწვდომობა და ეფექტიანობა.

ამავდროულად, საევაკუაციო გასასვლელის არარსებობა წინააღმდეგობაში შედის კანონმდებლობის მოთხოვნებთან და უარყოფით ზეგავლენას ახდენს პაციენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებას. სტაციონარული საქმიანობის შეწყვეტის (რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ჯანდაცვის სტრატეგიული განვითარებიოს ხედვას) შემთხვევაშიც კი, პრობლემა კვლავ დარჩება აქტუალური, ვინაიდან საფრთხე ექმნება შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის" ამბულატორული სერვისებით მოსარგებლე ათასობით პაციენტსა და მათ მომსახურე პერსონალს.

ფაქტობრივად შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს პერსონალი და პაციენტები ავტოგასამართი სადგურის კანონდარღვევით და შენობა-ნაგებობებთან კანონმდებლობით აკრძალულ საშიშ სიახლოვეში გახსნის შესახებ წარსულში მიღებული გადაწყვეტილების მძევლებად იქცნენ. თუ რაიმე მიზეზით დროულად ვერ ხერხდება საფრთხის თავიდან აცილება, უნდა მოხდეს შესაძლო რისკების მინიმიზაცია საევაკუაციო გასასვლელის მოწყობასთან დაკავშირებული მშენებლობის ნებართვის საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის გზით.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტით გათვალისწინებული საევაკუაციო კიბის კონსტრუქცია მდებარეობს შენობის იმ მხარეს რომელიც არ ემიჯნება ავტოგასამართ სადგურს.

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

თბილისი, 0162. ვაკე, თ. აბულაძის ქ. N7 | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242;dtmc.ltd@yahoo.com / 9:00-18:00/
7 T. Abuladze str. TBILISI 0162. GEORGIA | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242; dtmc.ltd@yahoo.com ; /9:00-18:00/

ამასთან გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ავტოგასამართი სადგურის ავზები არა მხოლოდ ჩვენს კლინიკის სახიფათო სიახლოვესაა (5 მეტრი დაშორება ჩენი ცენტრის კედლიდან) განთავსებული, არამედ მდებარეობს უშუალოდ ქავთარაძისა და მარიჯანის ქუჩების კუთხეში და სახიფათო სიახლოვესაა განთავსებული ამ ქუჩებზე არსებულ საცხოვრებელ სახლებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან, რისი გათვალისწინებით რაიმე დაზიანების ან/და ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ამ სადგურის გარეშემო მყოფ მოსახლეობას და დაწესებულებების პერსონალს.

აღნიშნულ საკითხზე რეაგირება და არსებული ხიფათის აღმოფხვრა, წარმოადგენს მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირდაპირ მოვალეობას(!) და პასუხისმგებლობა შესაძლოა სავალალო შედეგებზე ეკისრებათ ამ სამსახურის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს!

შესაბამისად სახეზეა ე/წ „ჩაკეტილი წრე“, როდესაც მერიის საქალაქო სამსახურ(ებ)ის მხრიდან აღნიშნული პრობლემატური საკითხის მოგვარების ნაცვლად, მისი რეაგირების გარეშე დატოვებით, ზარალდება როგორც შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“ (საევაკუაციო გასასვლელის მიშენებისათვის შესაბამისი პროექტის შეთანხმებაზე და ნებართვის გაცემაზე უარს აცხადებს მერიის არქიტექტურის სამსახური, რის გამოც კლინიკას მოუწევს დახურვა და საქმიანობის შეწყვეტა) და მისი პერსონალი (უმუშევრად დარჩენა), ასევე მოსახლეობა (რომელსაც აღარ ექნება საშუალება უახლოეს ხელმისაწვდომ ადგილზევე საბურთალოზე მიიღოს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარება).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უმოკლეს ვადებში დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურებს:

1. ზედამხედველობის სამსახურს ავტოსაგამართ სადგურთან მიმართებაში აღმოფხვრას ის კანონდარღვევა, რომლის გამოც არქიტექტურის სამსახური უარს აცხადებს ჩვენი კლინიკისათის საევაკუაციო გასასვლელის მიშენების პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე.
2. ან დაავალოთ არიქიტექტურის სამსახურს გასცეს შესაბამისი ნებართვა ჩვენს კლინიკაზე უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის აუცილებელი საევაკუაციო გასასვლელის მიშენებაზე.

ამასთან, თუ შესაძლებელი იქნება თქვენი დროის ფონდიდან გარკვეული დროს დათმობა აღნიშნულ პრობლემატურ საკუთხზე სასაუბროდ, ჩვენის მხრივ გამოვთქვამთ მზაობას, ნებისმიერ დროს გამოვცხადდეთ თბილისის მერთან და მერიის შესაბამის სამსახურების პასუხისმგებელ პირებთან ერთად შეხვედრაზე.

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

თბილისი, 0162. ვაკე, თ. აბულაძის ქ. N7 | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242;dtmc.ltd@yahoo.com / 9:00-18:00/
7 T. Abuladze str. TBILISI 0162. GEORGIA | ☎ +995 32 2 913 119; +995 32 2 913 242; dtmc.ltd@yahoo.com ; /9:00-18:00/

დანართი:

1. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ 07.06.2019წ-ის # 02/219-ო ბრძანება წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სამსახურის 01.04.2019წ-ის # MIA 8 19 00823721 წერილი.
3. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.04.2019წ-ის #4455994 გადაწყვეტილება.

პატივისცემით
დირექტორი,
პროფესორი /დავით ტატიშვილი/

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“
„GEORGIAN DEVELOPMENT GROUP +“ Ltd
GDG+

№ 15/01 15.01.2019 წ.

მინდობილობა

შპს „ჯორჯიან დეველოპმნტ გრუპ +“ ს/კ : 404897741, ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ანიჭებს ირაკლი სვიმონიშვილს (პ/ნ :01024026272) ორგანიზაციის ინტერესები წარმოადგინოს და შეასრულოს ყველა მოქმედებები ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთთან (მდებარე თბილისი, მარიჯანის ქ.N28 ს/კ: 01.14.03.039.010) დაკავშირებით მოიძიოს ნებისმიერი ინფორმაცია ქალაქ თბილისი მერიაში, ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს და შეათანხმოს სამშენებლო პროექტები, მიიღოს სამშენებლო კოეფიციენტის, სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაცია და სხვა დოკუმენტაცია, შეიტანოს მასში ცვლილებები, ელექტრონულად აწვდინოს საპროექტო და სხვა სახის დოკუმენტაცია, ასევე ჩაიბაროს დოკუმენტაციები და ხელი მოწეროს ყველა დოკუმენტს რაც დაკავშირებული იქნება მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ + “

დირექტორი ანზორ სხირტლაძე

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“ GDG+ 404897741 „GEORGIAN DEVELOPMENT GROUP +“ LTD

თბილისი, იოსებ ინგოროყვას ქ. 19 / 19 Ingorokva str., Tbilisi, Georgia
+995 0 322 55 55 44 info@gdg1.ge